

ქ.სამტრედია

2010 წლის 7 მაისი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14-ე მუხლისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-2 თავით განსაზღვრული თვითრეგულირების სისტემის შექმნისა და საჩივრების განხილვის მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურების ამოქმედების მიზნით.

### ვბრძანებ:

1. ტელეკომპანია „ტელერადიოპრესკომპანია ზარი“ შეიქმნას დავების განმხილველი საბჭო საზოგადოებრივ საწყისებზე.
2. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს სამი წევრით. დამტკიცდეს დავების განხილვის საბჭოს დებულება.
3. დავების განხილვის საბჭოს წევრებად დაინიშნონ:
  - ა) ოთარ თევზაძე – ტელეკომპანია „ზარი“ს გენერალური დირექტორი
  - ბ) მარინა თელია – ჟურნალისტი
  - გ) გიგა ნადირაძე – ოპერატორი
4. საბჭო შეუდგეს მუშაობას დაარსებისთანავე.
5. ინფორმაცია დავების განმხილველი საბჭოს შექმნის შესახებ განცხადების სახით გადაიცეს ტელეკომპანია „ზარი“ს ეთერით.

შპს „ტელერადიო კომპანია ზარის“  
დირექტორი:

ო. თევზაძე

ტელეკომპანია „ზართან“ არსებული

## დავების განმხილველი საბჭოს დებულება

*(მიღებული და დამტკიცებულია შპს „ტელეკომპანია ზარის“ დირექტორის 2010 წლის 7 მაისი ბრძანება № 2-ით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს ტელეკომპანია „ზარის“ დავების განხილვის საბჭოს ფორმირების, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების მიღების, განხილვის მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურებისა და მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესებს.)*

1. „დავების განმხილველი საბჭო“ არის ტელეკომპანია „ზართან“ არსებული დავის განმხილველი ორგანო, რომელიც შექმნილია, მოქმედებს და იღებს გადაწყვეტილებებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად.
2. საბჭო შედგება სამი წევრისაგან, რომლებიც მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე, და რომელთაც ნიშნავს ტელეკომპანიის დირექტორი.
3. დავების განმხილველი საბჭოს წევრები არ შეიძლება იყვნენ:
  - ა) საჯარო მოხელეები
  - ბ) პოლიტიკური პარტიების წევრები.
  - გ) მოქალაქეთა საჩივრის (განცხადების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგით დაინტერესებული პირები.
4. საბჭოში საჩივრის (განცხადების) განხილვის დაწყების საფუძველია ფიზიკური ან იურიდიული პირის წერილობითი საჩივრის (განცხადების) შეტანა ტელეკომპანია „ზარის“ ან მისი თანამშრომლის (ჟურნალისტის, გადაცემის წამყვანის, ან უშუალოდ გადაცემის) მიმართ, რომელიც უკავშირდება საჩივრის ადრესატის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ან „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებს.
5. ტელეკომპანია „ზარი“ ვალდებულია, ყურადღებით გაეცნოს საზოგადოებისაგან შემოსულ ყველა საჩივარს და განსახილველად გადასცეს იგი დავების განმხილველ საბჭოს.
6. დავების განმხილველი საბჭო უზრუნველყოფს საბჭოში შესული საჩივრების მომზადებას განსახილველად, მომჩივნებისათვის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებასა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაფორმებას.
7. დავების განმხილველ საბჭოს აქვს უფლება ჩაატაროს მოსამზადებელი შეხვედრა დავის მხარეებთან საჩივართან დაკავშირებული გარემოებების დასაზუსტებლად და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
8. მომჩივანს (განმცხადებელს) უფლება აქვს წარმოადგინოს მტკიცებულების სახით მის საჩივარში, (განცხადებაში) მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები საბჭოში საჩივრის განხილვამდე არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.
9. დავების განმხილველი საბჭო უფლებამოსილია ხარვეზიანად მიიჩნიოს საჩივარი, რომელიც არ აკმაყოფილებს ელემენტარულ პროცედურულ მოთხოვნებს, კერძოდ:

- ა) საჩივარში არ არის მომჩივანის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი.
  - ბ) საჩივარში მითითებული არ არის მომჩივანის საკონტაქტო ინფორმაცია.
  - გ) საჩივრიდან არ ირკვევა მოთხოვნის არსი.
  - დ) საჩივარი ან მისი თანდართული დოკუმენტაცია არ არის წაკითხვადი.
10. თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს, მომჩივანს ეცნობება წერილობით და მიეცემა არანაკლებ 5 დღის ვადა საჩივარში არსებული პროცედურული ხარვეზის გამოსასწორებლად.
11. დავების განმხილველი საბჭო საჩივარს არ განიხილავს, თუ:
- ა) მომჩივანი უარს აცხადებს ყოველგვარი სამართალწარმოების გაგრძელებაზე,
  - ბ) საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს და მომჩივანის მიერ ხარვეზი არ გამოსწორდა საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.
  - გ) მომჩივანის მოძიება შეუძლებელია.
  - დ) საჩივარი ანონიმურია.
12. დავების განმხილველი საბჭო განიხილავს საჩივარს მხოლოდ მომჩივანის მოთხოვნის ფარგლებში.
13. დავების განმხილველი საბჭო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპით და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესს.
14. დავების განმხილველი საბჭო საჩივრის ადრესატ მხარეს უგზავნის საბჭოში წარმოდგენილი საჩივრის (განცხადების) ასლს თანდართული მტკიცებულებებით და აძლევს გონივრულ ვადას თავისი საპასუხო მოსაზრების საბჭოში წერილობით წარმოსადგენად.
15. დავების განმხილველი საბჭო საჩივრის ადრესატისაგან მიღებულ წერილობით მოსაზრებას და თანდართულ მტკიცებულებებს უგზავნის საჩივრის ავტორს.
16. საჩივარი განიხილება მომჩივანის ან მისი ადვოკატის მონაწილეობით.
17. მომჩივანსა და საჩივრის ადრესატს უფლება აქვთ დაესწრონ საბჭოს სხდომას და თავისი ინტერესები დაიცვან პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.
18. საჩივრის განხილვის თარიღი, დრო და ადგილი განმცხადებელსა და საჩივრის ადრესატ მხარეს უნდა ეცნობოს სამოქალაქო საპროცესო კანონით დადგენილი წესით.
19. საბჭოში საჩივრები და განცხადებები განხილული უნდა იქნას მათი მიღებიდან 20 დღის ვადაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. საჩივრის განხილვაზე მომჩივანის ან მისი მოპასუხე პირის გამოუცხადებლობა საბჭოს არ ართმევს უფლებას განიხილოს წარმოდგენილი საჩივარი თუ განცხადება.
20. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, დავების განხილვის საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი

გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

21. დამატებითი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მოპოვების საფუძველით საჩივრის განხილვის შეჩერების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს.
22. დავების განმხილველი საბჭო უფლებამოსილია:
  - ა) დააკმაყოფილოს საჩივარი.
  - ბ) ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი.
  - გ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი.
23. დავების განხილვის საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. წევრებს არა აქვთ გადაწყვეტილების მიღებაზე თავის შეკავების უფლება. საბჭოს წევრის განსხვავებული მოსაზრება მის მიერ უნდა დაფიქსირდეს ცალკე წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაეკერება საქმეში და მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად გადაეცემა დაინტერესებულ მხარეებს.
24. საჩივრის (განცხადების) თაობაზე დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი დაინტერესებულ პირებს უნდა გაეგზავნოს ფოსტის მეშვეობით ან ჩაბარდეს პირადად გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში.
25. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მისი ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში აპელაციის წესით გაასაჩივროს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან დავის ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს სასამართლოს.

შპს „ტელერადიო კომპანია ზარის“

დირექტორი:

ო. თევზაძე

კომისიაში 2022 წლის აგვისტოდან მოხდა ცვლილება დირექტორის ბატონი ოთარ თევზაძის გარდაცვალების გამო.

საჩივრების განმხილავი კომისია ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით

მარინა თელია - დირექტორი

ბაჩუკ სონძია - ოპერატორი

შორენა ნიკოლეიშვილი - ჟურნალისტი

ასევე შექმნილია სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით

ნინო ნანიტაშვილი - ჟურნალისტი

სოფიკო ჯვარშიეშვილი - ისტორიკოსი

ნინო სტეფანია - იურისტი

შპს „ტელერადიო კომპანია ზარის“

შპს „ტელერადიო კომპანია ზარის“

დირექტორი:

მ.თელია